



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიდოური ენა

დიდოური ენა, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის დაღესტნური ენების ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ჯგუფის დიდოური ქვეჯგუფის ერთ-ერთი უმწერლობო ენა.

გავრცელებულია დაღ. რესპ. წუნტის რ-ნში (რ-ნის ცენტრი სოფ. ბეჟიტა). დ. ე-ზე ლაპარაკობს დაახლ. 7000 კაცი; სალიტ. ენად იყენებენ ხუნძურს და ეროვნებითაც ხუნძებად აღირიცხებიან. დ. ე-ში გამოიყოფა ორი დიალექტი: საკუთრივ დიდოური და საჭადური.

საჭადურ დიალექტები ლაპარაკობენ აულების – საჭადის, მითლუდისა და თლაცუდის მცხოვრებნი. სხვა დიდოური აულების მცხოვრებნი მეტყველებენ საკუთრივ დიდოურ დიალექტები, რ-იც იყოფა კილოკავებად: ქიდიროული, შაიტლური, ასახური, შაფიხური, ელბოყური. დ. ე-ის ფონეტიკაში თავისებურებას ქმნის სადა ხმოვნებისა (ა, ე, ი, ო, უ) და მათი გრძელი სახეობის (ა. ე, ი, ო, უ) გვერდით წარმოდგენილი ვიწრო ხმოვნების (ავ, ევ, ივ, ოვ, უვ – თავისი გრძელი ვარიანტებით: ა, ე, ი, ო, უ), ნუნისმიერი ლატერალებისა (ლ' ლ' ტ') და ე. წ. ფარინგალიზებული თანხმოვნების (ლ', ხ', პ' უ') არსებობა.

ხმოვანთა შერწყმაში ნათლად ჩანს დიალექტური სხვაობანი. სახელთა მორფოლოგიაში ძირითად ბრუნვებს (სახ., ერგატივი, მიც., ნათ.) შორის აღსანიშნავია ინსტრუმენტალისი (რ-იც ადამიანთა სახელებთან არ დასტურდება). დ. ე-ში, ძირითად ბრუნვათა გარდა, წარმოდგენილია ერთ და რამდენიმე თანდებულიანი ბრუნვა, ერთ და ორფუძიანი ბრუნება, განსაზღვრული და განუსაზღვრელი ფორმების გარჩევა ბრუნებაში.

ზმნის ინფინიტივი ორი სახისაა: – ა და – დ – ა მორფემიანი. ზმნის უღვლილებაში დროთა ძირითადი ფორმებისა და კითხვითობა-უარყოფითობის წარმოება დიალექტურ სხვაობათა მტკიცე სისტემას იძლევა. დ. ე-ში წინადადების შემდეგი კონსტრუქციებია: ნომინატიური, ერგატიული, დატიური, ლოკატიური და პოსესიური.

დ. ე-ში მრავლადაა ზმნის საგარემოებო ფორმები, რაც რთული დამოკიდებული წინადადების გადმოცემის ძვ. საშუალებაა. ლექსიკაში ბევრია ხუნძურიდან შეთვისებული სიტყვები. შეიმჩნევა ქართ. ენის გავლენაც.

ლიტ. იხ. სტ-თან დ ი დ ო უ რ ი ე ნ ე ბ ი.

გ. ბურჯულაძე

დ. იმნაიშვილი
